

შპს აი.ელ.ეფ კონსალტინგ ენჯინიერს ჯორჯია

ფინანსური ანგარიშგება

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

(ინგლისური ორიგინალის თარგმანი)

შინაარსი:

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	3
სრული შემოსავლის ანგარიშგება	5
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	6
საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება.....	7
ფულადი ნაკადების ანგარიშგება.....	8
1. ზოგადი ინფორმაცია	9
2. მომზადების საფუძველი	9
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები	9
4. შემოსავალი გაწეული მომსახურებიდან	10
5. შესყიდული მომსახურებები	10
6. თანამშრომელთა სარგებელი და დაქირავებულთა ანაზღაურება	10
7. მმართველობით მომსახურებასთან დაკავშირებული ხარჯები	10
8. საიჯარო ხარჯი	11
9. სხვა საოპერაციო ხარჯები.....	11
10. საკურსო სხვაობით გამოწვეული მოგება /(ზარალი), წმინდა	11
11. საპროცენტო შემოსავალი	11
12. მოგების გადასახადი	11
13. ძირითადი საშუალებები	12
14. გაცემული სესხები	12
15. გადახდილი ავანსები	13
16. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	13
17. ფული და ფულის ეკვივალენტები	13
18. საგადასახადო აქტივები, წმინდა	13
19. მიღებული ავანსები.....	13
20. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები.....	14
21. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან	14
22. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები	15
23. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა	15

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „აი.ელ.ეფ ქონსალთინგ ენჯინიერს ჯორჯიას“ აქციონერებსა და ხელმძღვანელობას:

მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ აუდიტი შპს „აი.ელ.ეფ ქონსალთინგ ენჯინიერს ჯორჯიას“ (შემდეგში „კომპანია“) ფინანსური ანგარიშგებისა, რომელიც შედგება 2023 წლის 31 დეკემბრისთვის მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, ამავე თარიღში დამთავრებული წლის სრული შემოსავლის ანგარიშგებისგან, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისგან, ასევე ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნებისგან, მათ შორის, არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპების მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2023 წლის 31 დეკემბრისთვის, აგრეთვე, მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულად ნაკადებს, ამავე თარიღით დასრულებული წლისთვის, მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს) შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის ნაწილში - „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“.

ჩვენ დამოუკიდებელი ვართ კომპანიისგან ბუღალტრთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბესსს) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსისა და საქართველოში ფინანსური ანგარიშგების აუდიტის განხორციელებისას საჭირო ეთიკური ნორმების შესაბამისად. გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებითა და ბესსს-ის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც.

გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე მსს ფასს - ის შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიცეს.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ის შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას

Member of Nexia International

მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან თანდართულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ის შესაბამისად აუდიტის ჩატარების პროცესში ჩვენ მივმართავთ პროფესიულ განსჯას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. გარდა ამისა, ჩვენ ასევე:

- ▶ ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- ▶ შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის მექანიზმებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ▶ ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- ▶ დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორულ დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ▶ ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვა საკითხებთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

ანა გაბედავა, გარიგების პარტნიორი (SARAS-A-518332)

შპს „ნექსია თიბი“ (SARAS-F-550338)

31 მარტი, 2024

თბილისი, საქართველო



შპს აი.ელ.ეფ ქონსალტინგ ენჯინიერს ჯორჯია

სრული შემოსავლის ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

(ქართულ ლარში)

	შენიშვნა	2023	2022
შემოსავალი გაწეული მომსახურებიდან	4	4,250,764	4,685,404
შესყიდული მომსახურება	5	(1,029,160)	(1,071,536)
თანამშრომელთა სარგებელი და დაქირავებულთა ანაზღაურება	6	(1,988,433)	(2,237,879)
ფინანსური აქტივების რეზერვის აღდგენა	16	-	3,007
მმართველობით მომსახურებასთან დაკავშირებული ხარჯები	7	(244,528)	(262,255)
საიჯარო ხარჯები	8	(128,461)	(180,254)
სხვა საოპერაციო ხარჯები	9	(336,183)	(331,422)
საოპერაციო მოგება		523,999	605,065
საკურსო სხვაობით გამოწვეული მოგება / (ზარალი), წმინდა	10	73,821	(440,511)
ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან მიღებული შემოსავალი		13,704	2,564
საპროცენტო შემოსავალი	11	77,597	4,003
არასაოპერაციო შემოსავალი / (ზარალი), წმინდა		(6,886)	2,159
მოგება დაბეგვრამდე		682,235	173,280
მოგების გადასახადის ხარჯი	12	-	(185,838)
წლის წმინდა მოგება / (ზარალი)		682,235	(12,558)
სხვა სრული შემოსავალი		-	-
წლის მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)		682,235	(12,558)

ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებული და ავტორიზებულია 2024 წლის 31 მარტს შემდეგი პირების მიერ:

დირექტორი



გიორგი გურგენიძე

9-19 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

შპს აი.ელ.ეფ კონსალტინგ ინჟინერს ჯორჯია

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(ქართულ ლარში)

	შენიშვნა	31/12/2023	31/12/2022
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	13	48,779	93,781
		48,779	93,781
მოკლევადიანი აქტივები			
მარაგები		-	5,140
გაცემული სესხი	14	467,953	436,753
საგადასახადო აქტივები, წმინდა	18	16,801	17,356
გადახდილი ავანსები	15	46,618	28,241
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	16	785,124	1,467,804
ფული და ფულის ეკვივალენტები	17	2,359,545	1,404,923
		3,676,041	3,360,217
სულ აქტივები		3,724,820	3,453,998
კაპიტალი და ვალდებულებები			
კაპიტალი			
გაუნაწილებელი მოგება		3,121,277	2,439,042
		3,121,277	2,439,042
მოკლევადიანი ვალდებულებები			
მიღებული ავანსები	19	142,204	58,454
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	20	461,339	956,502
		603,543	1,014,956
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		3,724,820	3,453,998

ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებული და ავტორიზებულია 2024 წლის 31 მარტს შემდეგი პირების მიერ:

დირექტორი



გიორგი გურგენიძე

9-19 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

შპს აი.ელ.ეფ კონსალტინგ ენჯინიერს ჯორჯია

საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

(ქართულ ლარში)

	გაუნაწილებელი მოგება	მთლიანი კაპიტალი
ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბრისთვის	3,504,683	3,504,683
წლის მთლიანი სრული ზარალი	(12,558)	(12,558)
გადახდილი დივიდენდი	(1,053,083)	(1,053,083)
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბრისთვის	2,439,042	2,439,042
წლის მთლიანი სრული შემოსავალი	682,235	682,235
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბრისთვის	3,121,277	3,121,277

ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებული და ავტორიზებულია 2024 წლის 31 მარტს შემდეგი პირების მიერ:

დირექტორი

გიორგი გურგენიძე

9-19 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

შპს აი.ელ.ეფ კონსალტინგ ენჯინიერს ჯორჯია

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბრის დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

(ქართულ ლარში)

	შენიშვნა	2023	2022
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან			
მოგება დაბეგვრამდე		682,235	173,280
კორექტირებები:			
ცვეთა და ამორტიზაცია	9	47,546	67,077
მოგება ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან		(13,704)	(2,564)
ფინანსური აქტივების რეზერვის აღდგენა	16	-	(3,007)
საპროცენტო შემოსავალი		(77,597)	(4,003)
ძირითადი საშუალებების ჩამოწერა		-	13,350
სავაჭრო და სხვა ვალდებულებების ჩამოწერა		-	(15,509)
საკუთრო სხვაობით გამოწვეული ზარალი / (მოგება)		(73,821)	440,511
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი სახსრები		564,659	669,135
აქტივებსა და ვალდებულებებში მომხდარ ცვლილებებამდე			
ცვლილებები სამუშაო კაპიტალში:			
სავაჭრო და სხვა მოთხოვნების შემცირება		737,841	2,584,387
მარაგების (ზრდა) / შემცირება		5,140	(4,370)
გადახდილი (ზრდა) / ავანსების შემცირება		(18,377)	21,007
მიღებული ავანსების ზრდა		83,750	58,454
სავაჭრო და სხვა ვალდებულებების შემცირება		(475,709)	(2,532,783)
საგადასახადო ვალდებულებების შემცირება		-	(381,035)
საგადასახადო აქტივების (ზრდა) / შემცირება		555	(17,356)
საოპერაციო საქმიანობიდან შემოსული წმინდა ფულადი სახსრები		897,859	397,439
პროცენტის გადასახადების გადახდამდე			
გადახდილი მოგების გადასახდი		-	(185,838)
მიღებული პროცენტი		60,909	-
საოპერაციო საქმიანობიდან შემოსული წმინდა ფულადი სახსრები		958,768	211,601
ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან			
ძირითადი საშუალებების შესყიდვა	13	(2,544)	(10,154)
ძირითადი საშუალებების გაყიდვა		13,704	8,998
სესხის გაცემა		-	(410,235)
საინვესტიციო საქმიანობიდან შემოსული / (გასული) წმინდა ფულადი სახსრები		11,160	(411,391)
ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან			
გადახდილი დივიდენდი		-	(1,053,083)
საფინანსო საქმიანობიდან გასული წმინდა ფულადი სახსრები		-	(1,053,083)
ფულის და ფულის ეკვივალენტების წმინდა ზრდა/(კლება) წლის განმავლობაში		969,928	(1,252,873)
ფულადი სახსრები წლის დასაწყისისთვის	17	1,404,923	2,903,621
ფულისა და ფულის ეკვივალენტების გადაფასების ეფექტი		(15,306)	(245,825)
ფულადი სახსრები წლის ბოლოსთვის	17	2,359,545	1,404,923

ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებული და ავტორიზებულია 2024 წლის 31 მარტს შემდეგი პირების მიერ:

დირექტორი



გიორგი გურგენიძე

9-19 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

შპს აი.ელ.ეფ ქონსალთინგ ენჯინიერს ჯორჯია

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2023 წლის 31 დეკემბრის დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

(ქართულ ლარში)

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს აი.ელ.ეფ ქონსალთინგ ენჯინიერს ჯორჯია (შემდეგში - „კომპანია“, ს/ნ 404536542) დაარსდა 2017 წლის აპრილში ILF Group Holding LLC-ის მიერ. კომპანიის იურიდიული მისამართია თბილისი, უ.ჩხეიძის ქუჩა #20.

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს პროფესიონალური საკონსულტაციო, საინჟინრო, სახედავებდველო, ინფრასტრუქტურული და საპროექტო მომსახურების გაწევა.

2023 და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ILF Group Holding LLC (მშობელი კომპანია) ფლობს კომპანიის 100%-ს, რომელიც თავის მხრივ არის შვილობილი კომპანია LF Beteiligung GmbH-ის. აქციონერები არიან: კლაუს ლასერი; კარინ ლასერ-ვაილჰარტნერი, ბერნჰარდ ლასერი. კომპანიის დირექტორია გიორგი გურგენიძე.

2. მომზადების საფუძველი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბაზის (ბასსს) მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგების მსს ფასს-ების შესაბამისად მომზადება ითხოვს გარკვეული შეფასებებისა და დაშვებების გაკეთებას. ის ასევე მოითხოვს კომპანიის ხელმძღვანელობისგან, რომ მსჯელობის საფუძველზე მოახდინოს ყველაზე შესაფერისი სააღრიცხვო პოლიტიკის მიღება და დანერგვა. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები მოცემულია ფინანსური ანგარიშგების მე-3 შენიშვნაში.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ქართულ ლარში, რომელიც ასევე არის კომპანიის ფუნქციური ვალუტა. საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე.

შეფასების საფუძვლები

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე.

საქმიანობის უწყვეტობა

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია საქმიანობის უწყვეტობის საფუძველზე, იმ დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. მიუხედავად იმისა, რომ კომპანია მოგებაზე გავიდა 2023 წელს 682,235 ლარის ოდენობით (12,558 ლარის ზარალი 2022). 2023 წელს მთლიანმა მიმდინარე აქტივებმა მთლიან მიმდინარე ვალდებულებებს გადააჭარბა 3,072,498 ლარით (2,345,261 ლარით 2022 წელს). კომპანიის დადებითი ფულადი სახსრების მოძრაობა საოპერაციო საქმიანობიდან 958,768 ლარი (211,601 ლარი 2022 წელს). შესაბამისად, ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ საქმიანობის უწყვეტობის ცნება არის შესაბამისი კომპანიისთვის. კომპანია არ აპირებს ოპერაციების შეწყვეტას შემდგომ პერიოდში.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის. შეფასებები და გადაწყვეტილებები შემუშავებულია გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს კომპანიის ფუნქციონირებას განსაზღვრული მომავლის პირობებში. მომავალ პერიოდებში მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადების განსაზღვრა ხდება განსჯის შედეგად მსგავსი აქტივების გამოცდილების საფუძველზე. აქტივებში შემავალი მომავალი ეკონომიკური სარგებელი გამოიყენება მოხმარების დროს. თუმცა, სხვა ფაქტორები, როგორიცაა ტექნიკური ან კომერციული დაძველება და ცვთა, ხშირად იწვევს აქტივებში შემავალი მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირებას. ხელმძღვანელობა წარჩენ მომსახურების ვადას განსაზღვრავს მიმდინარე ტექნიკური მდგომარეობის მიხედვით და აფასებს რა პერიოდის განმავლობაში შეუძლია კომპანიას მიიღოს ეკონომიკური სარგებელი. ამ შეფასების პროცესში კომპანია ითვალისწინებს შემდეგ ფაქტორებს: ა) აქტივების მოსალოდნელი გამოყენება; ბ) მოსალოდნელი ფიზიკური ცვთა, რაც დამოკიდებულია ოპერაციულ ფაქტორებსა და ტექნიკურ მომსახურებაზე; და გ) ტექნიკური ან კომერციული დაძველება, რომელიც გამომდინარეობს ბაზრის პირობების ცვლილებებისაგან.

შპს აი.ელ.ეფ ქონსალტინგ ენჯინიერს ჯორჯია

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

(ქართულ ლარში)

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები (გაგრძელება)

ფინანსური აქტივების გაუფასურება.

გაუფასურების რეზერვის დარიცხვა ხდება, როდესაც არსებობს ობიექტური მტკიცებულება (როგორცაა კონტრაგენტის მნიშვნელოვანი ფინანსური სიმწელებები, დეფოლტი, გადახდის პირობების მნიშვნელოვანი დარღვევა), რომ კომპანია ვერ მიიღებს თანხას მთლიანი მოცულობით, ხოლო რეზერვის თანხა წარმოადგენს წმინდა საბალანსო ღირებულებასა და გაუფასურებული მოთხოვნის მომავალი ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულებას შორის სხვაობას. სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანებებისთვის, რომლებიც ჩაწერილია ნეტო ღირებულებით, ანარიცხები წარმოდგენილია ცალკე რეზერვის ანგარიშზე, ზარალის აღიარებით სრული შემოსავლის ანგარიშგებაში. როდესაც დადასტურდება, რომ კომპანია ვერ მიიღებს მოთხოვნებში არსებულ თანხებს, მთლიანი საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება შესაბამის რეზერვთან.

გარიგებები დაკავშირებულ მხარეებთან.

ჩვეულ საქმიანობაში, კომპანია დებს გარიგებებს დაკავშირებულ მხარეებთან. სტანდარტი მოითხოვს ფინანსური ინსტრუმენტების აღიარებას მათი რეალური ღირებულებით. როცა ასეთი ოპერაციებისთვის არ არის აქტიური ბაზარი, გადაწყვეტილებები მიიღება იმის განსაზღვრით ოპერაციები ბაზრის ფასით არის შეფასებული, თუ არა. არსი ამ გადაწყვეტილების მიღების არის ღირებულების შეფასება მსგავსი ოპერაციებისთვის არამოკავშირე მხარეებთან.

4. შემოსავალი გაწეული მომსახურებიდან

შემოსავალი გაწეული მომსახურებიდან 2023 წლისა და 2022 წლის 31 დეკემბრისთვის შედგება:

	2023	2022
სატრანსპორტო სექტორი	2,401,205	2,131,802
ენერგო სექტორი	1,495,123	1,241,597
მუნიციპალური და წყლის ინფრასტრუქტურა	243,937	941,674
ინფრასტრუქტურა	-	325,304
სხვა	110,499	45,027
მთლიანი შემოსავალი გაწეული მომსახურებიდან	4,250,764	4,685,404

5. შესყიდული მომსახურებები

შესყიდული მომსახურებები 2023 და 2022 წლის 31 დეკემბრისთვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2023	2022
დაკავშირებული მხარე	691,045	586,607
სხვა არადაკავშირებული მხარე	338,115	484,929
მთლიანი შესყიდული მომსახურებები	1,029,160	1,071,536

6. თანამშრომელთა სარგებელი და დაქირავებულთა ანაზღაურება

თანამშრომელთა სარგებელი და დაქირავებულთა ანაზღაურება 2023 წლისა და 2022 წლის 31 დეკემბრისთვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2023	2022
ხელფასები	1,949,435	2,202,463
სარგებელი	38,998	35,416
სულ თანამშრომელთა სარგებელი და დაქირავებულთა ანაზღაურება	1,988,433	2,237,879

7. მმართველობით მომსახურებასთან დაკავშირებული ხარჯები

მმართველობით მომსახურებასთან დაკავშირებული ხარჯები შედგება ILF Group Holding Austria GmbH-ის მიერ გაწეული მომსახურებისგან, როგორცაა მარკეტინგი და კომუნიკაცია, დავებისა და რისკების მართვა, კომერციული კოორდინაცია, ტექნიკური ექსპერტიზა, ადამიანური რესურსები და სხვა. მმართველობით მომსახურებასთან დაკავშირებული ხარჯები 2023 წელს 244,528 ლარი და 2022 წელს 262,255 ლარია.

შპს აი.ელ.ევ ქონსალტინგ ენჯინიერს ჯორჯია

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2023 წლის 31 დეკემბრის დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

(ქართულ ლარში)

8. საიჯარო ხარჯი

კომპანიას იჯარით აქვს აღებული საოფისე და საცხოვრებელი ფართი, რომელიც განკუთვნილია რეგიონებში მომუშავე თანამშრომლებისთვის. ქირის ღირებულება 2023 წელს არის 128,461 ლარი, ხოლო 2022 წელს 180,254 ლარი.

9. სხვა საოპერაციო ხარჯები

სხვა საოპერაციო ხარჯები 2023 და 2022 წლის 31 დეკემბრისთვის შედგება:

	2023	2022
პროფესიული მომსახურება	101,950	84,819
ცვეთა	47,546	67,077
კომუნალური	43,339	31,642
საგადასახადო ხარჯი, გარდა მოგების გადასახადისა	26,793	30,620
რემონტი და ტექნიკური მომსახურება	22,240	30,008
საწვავი	18,503	13,224
კომუნიკაციის ხარჯები	18,374	11,808
დაზღვევა	10,114	10,352
მივლინება	6,360	8,656
საოფისე ხარჯები	5,133	7,827
ბანკის საკომისიო	3,494	3,429
სხვა	32,337	31,960
მთლიანი სხვა საოპერაციო ხარჯები	336,183	331,422

10. საკურსო სხვაობით გამოწვეული მოგება / (ზარალი), წმინდა

საკურსო სხვაობით გამოწვეული მოგება / (ზარალი), წმინდა წლის ბოლოს, 2023 წლისა და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, შეადგენდა:

	2023	2022
ფული და ფულის ეკვივალენტები	(15,306)	(245,825)
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	55,161	(321,494)
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	19,454	104,293
გაცემული სესხი	14,512	22,515
საკურსო სხვაობით გამოწვეული მოგება / (ზარალი), წმინდა	73,821	(440,511)

11. საპროცენტო შემოსავალი

საპროცენტო შემოსავალი შედგება თიბისი ბანკში განთავსებული ანაზრებიდან მიღებული პროცენტებისგან. 2023 წელს საპროცენტო შემოსავალი იყო 77,597 ლარი, ხოლო 2022 წელს 4,003 ლარი (გაცემული სესხებიდან მიღებული საპროცენტო შემოსავალი 2023: 56,801 ლარი, 2022: 4,003 ლარი).

12. მოგების გადასახადი

2023 საფინანსო წელს დივიდენდი არ გაცემულა (2022 წელს 1,053,082), შესაბამისად 2023 წელს კომპანიას არ დაერიცხა მოგების გადასახადის ხარჯი (2022 წელს 185,838).

შპს აი.ელ.ეფ ქონსალტინგ ენჯინიერს ჯორჯია

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

(ქართულ ლარში)

13. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები 2023 და 2022 წლის 31 დეკემბრისთვის შეადგენს:

	კომპიუტერები და ოფისის აღჭურვილობა	ავტომობილები	მანქანა- დანადგარები	იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	სულ
ისტორიული ღირებულება					
2021 წლის 31 დეკემბერი	173,202	119,484	32,984	37,180	362,850
შემოსვლა	1,186	8,968	-	-	10,154
გასვლა	(10,710)	(4,964)	-	-	(15,674)
ჩამოწერა	-	-	-	(35,633)	(35,633)
2022 წლის 31 დეკემბერი	163,678	123,488	32,984	1,547	321,697
შემოსვლა	2,544	-	-	-	2,544
გასვლა	-	(17,938)	-	-	(17,938)
2023 წლის 31 დეკემბერი	166,222	105,550	32,984	1,547	306,303
დაგროვილი ცვეთა					
2021 წლის 31 დეკემბერი	(92,386)	(59,487)	(22,196)	(18,293)	(192,362)
წლის ცვეთა	(28,024)	(27,520)	(6,593)	(4,940)	(67,077)
გასვლა	6,214	3,026	-	-	9,240
ჩამოწერა	-	-	-	22,283	22,283
2022 წლის 31 დეკემბერი	(114,196)	(83,981)	(28,789)	(950)	(227,916)
წლის ცვეთა	(27,148)	(16,435)	(3,963)	-	(47,546)
გასვლა	-	17,938	-	-	17,938
2023 წლის 31 დეკემბერი	(141,344)	(82,478)	(32,752)	(950)	(257,524)
წმინდა საბალანსო ღირებულება					
2022 წლის 31 დეკემბერი	49,482	39,507	4,195	597	93,781
2023 წლის 31 დეკემბერი	24,878	23,072	232	597	48,779

კომპანიას აქვს სრულად ამორტიზებული აქტივები, საერთო ღირებულებით 140,534 ლარი (2022: 5,586 ლარი).

კომპანიის ძირითადი საშუალებები არ არის დატვირთული გირავნობის ქვეშ.

14. გაცემული სესხები

					31 დეკემბერი, 2023		31 დეკემბერი, 2022	
	საპროცენტო განაკვეთი	ვალუტა	გაცემის თარიღი	დაფარვის თარიღი	მოკლევად იანი აქტივები	გრძელვად იანი აქტივები	მოკლევად იანი აქტივები	გრძელვად იანი აქტივები
ILF Group Holding	12M- EURIBOR განაკვეთი და მარჯა 1,0%-ის ოდენობით.	ევრო	28-სექ-22	31-დეკ-24	467,953	-	436,753	-
გაუფასურება					-	-	-	-
					467,953	-	436,753	-

ზემოაღნიშნული სესხი წარმოადგენს ILF Group Holding-ზე 2022 წლის 28 სექტემბერს გაცემულ სესხს. სესხის დაფარვა თავდაპირველად დაგეგმილი იყო 2023 წლის 31 დეკემბერს, მაგრამ ხელშეკრულების პირობების შესაბამისად, იგი გაგრძელდა 2024 წლის 31 დეკემბრამდე.

შპს აი.ელ.ეფ ქონსალტინგ ენჯინიერს ჯორჯია

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2023 წლის 31 დეკემბრის დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

(ქართულ ლარში)

15. გადახდილი ავანსები

გადახდილის ავანსები 2023 წლისა და 2022 წლის 31 დეკემბრისთვის შედგება:

	31/12/2023	31/12/2022
წინასწარ გადახდილი იჯარა	15,852	16,052
წინასწარ გადახდილი საწვავის ხარჯი	8,655	6,425
მომწოდებლებისთვის გადახდილი ავანსები	16,860	3,129
სხვა	5,251	2,635
სულ გადახდილი ავანსები	46,618	28,241

16. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები 2023 წლისა და 2022 წლის 31 დეკემბრისთვის შედგება:

	31/12/2023	31/12/2022
დაკავშირებული მხარეები	521,707	839,182
სხვა	341,745	706,950
საექვო მოთხოვნების რეზერვი	(78,328)	(78,328)
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	785,124	1,467,804

ცვლილებები გაუფასურების რეზერვში წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2023	2022
ნაშთი 1 იანვრისთვის	78,328	81,335
აღდგენა	-	(3,007)
ნაშთი 31 დეკემბრისთვის	78,328	78,328

17. ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები 2023 წლისა და 2022 წლის 31 დეკემბრისთვის შედგება:

	31/12/2023	31/12/2022
ფული ბანკში	2,359,268	1,404,838
ფული სალაროში	277	85
სულ ფული და ფულის ეკვივალენტები	2,359,545	1,404,923

საბანკო ანგარიშებზე ნაღდი ფულის ნაშთები შეიძლება კლასიფიცირდეს, როგორც არარისკიანი.

18. საგადასახადო აქტივები, წმინდა

საქართველოს საგადასახადო კოდექსის მიხედვით, 2016 წლის 1 იანვრიდან კომპანიამ გადასახადები უნდა გადაიხადოს ერთიანი სახაზინო კოდიტ, რომელიც გამოიყენება ყველა გადასახადისთვის. შედეგად, 2023 და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანია საგადასახადო აქტივებსა და ვალდებულებებს წარადგენს ნეტო საფუძველზე როგორც აქტივს, 16,801 ლარის ღირებულებით 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და 17,356 ლარის ღირებულებით 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

19. მიღებული ავანსები

მიღებული ავანსები მოიცავს მუნიციპალური და წყლის ინფრასტრუქტურის სექტორიდან მიღებულ თანხას, რომელიც 2023 წლის 31 დეკემბრისთვის შეადგენს 142,204 ლარს ხოლო 2022 წლის 31 დეკემბრისთვის ენერგეტიკის სექტორის პროექტიდან მიღებულ თანხას და შეადგენს 58,454 ლარს.

შპს აი.ელ.ეფ კონსალტინგ ენჯინიერს ჯორჯია

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

(ქართულ ლარში)

20. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები 2023 წლისა და 2022 წლის 31 დეკემბრისთვის შედგება:

	31/12/2023	31/12/2022
დაკავშირებულ მხარესთან	279,155	633,583
სხვა	39,703	239,577
ხელფასები და ბონუსები	142,481	57,166
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	461,339	930,326
ანარიცხი	-	26,176
მთლიანი ფინანსური ვალდებულებები შეფასებული ამორტიზებული ღირებულებით, გარდა მიღებული სესხებისა	461,339	956,502

21. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

კომპანიასა და დაკავშირებულ მხარეებს შორის არსებული ოპერაციები წარმოდგენილია ცხილებში:

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	გაცემული სესხები
ILF Group Holding Austria GmbH	14,295	264,802	467,953
ILF Consulting Engineers Austria GmbH-ის წარმომადგენლობა საქართველოში	507,412	-	-
ILF Consulting Engineers Asia (Thailand)	-	1,667	-

სრული შემოსავლის ანგარიშგება	შემოსავალი მომსახურები ს გაწევიდან	შესყიდული მომსახურებები	მმართველობით მომსახურებასთან დაკავშირებული ხარჯები	საპროცენტო შემოსავალი
ILF Group Holding Austria GmbH	62,556	-	(244,527)	20,796
ILF Consulting Engineers Austria GmbH (Representation) in Georgia	1,735,882	(132,844)	-	-
ILF Business Consult GmbH	37,095	(70,185)	-	-
ILF Swiss Holding GmbH	5,824	-	-	-
ILF Consulting Engineers for Engineering Consultancy	13,882	-	-	-
ILF Consulting Engineers Austria GmbH, Innsbruck	85,008	-	-	-
ILF Consulting Engineers Polska Sp. z o. o.	-	(345,694)	-	-
ILF Consulting Engineers Asia (Thailand)	-	(97,884)	-	-
ILF Consulting Engineers - Dubai	33,450	-	-	-
ILF Engineers (Nigeria) Ltd.	5,025	-	-	-
ILF Beratende Ingenieure GmbH (Germany)	-	(44,438)	-	-

შპს აი.ელ.ეფ ქონსალტინგ ენჯინიერს ჯორჯია

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

(ქართულ ლარში)

21. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან (გაგრძელება)

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	გაცემული სესხები
ILF Group Holding Austria GmbH	-	262,255	436,753
ILF Beratende Ingenieure AG	9,564	-	-
ILF Consulting Engineers Austria GmbH-ის წარმომადგენლობა საქართველოში	759,363	388,221	-
ILF Business Consult GmbH	11,251	1,550	-
ILF Swiss Holding GmbH	17,287	-	-
ILF Consulting Engineers for Engineering Consultancy	32,265	-	-
ILF Consulting Engineers Austria GmbH, Innsbruck	9,453	-	-
ILF Consulting Engineers Polska Sp. z o. o.	-	110,889	-

სრული შემოსავლის ანგარიშგება	შემოსავალი მომსახურების გაწევიდან	სხვა საოპერაციო შემოსავალი	შესყიდული მომსახურებები	მმართველობით მომსახურებასთან დაკავშირებული ხარჯები	საპროცენტო შემოსავალი
ILF Group Holding Austria GmbH	-	-	-	(262,255)	4,003
ILF Beratende Ingenieure AG	54,585	-	-	-	-
ILF Consulting Engineers Austria GmbH (Representation) in Georgia	2,685,932	53,108	(449,512)	-	-
ILF Business Consult GmbH	11,146	-	(26,206)	-	-
ILF Swiss Holding GmbH	18,719	-	-	-	-
ILF Consulting Engineers for Engineering Consultancy	58,356	-	-	-	-
ILF Consulting Engineers Austria GmbH, Innsbruck	30,386	-	-	-	-
ILF Consulting Engineers Polska Sp. z o. o.	-	-	(110,889)	-	-

უმაღლესი ხელმძღვანელი პირების ანაზღაურებამ 2023 წელს შეადგინა 424,548 ლარი (2022: 322,762 ლარი).

22. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

ეს ფინანსური ანგარიშგება დამტკიცდა კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ 2024 წლის 31 მარტს. არ ყოფილა საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები, რომლებიც მოითხოვდა კორექტირებას ან გაშიფვრას ფინანსურ ანგარიშგებაში.

23. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკები რომლებიც გამოყენებულია ფინანსური ანგარიშგების მომზადებისთვის მოცემულია ქვემოთ. ეს პოლიტიკები თანმიმდევრულად იქნა გამოყენებული ყველა პერიოდზე, თუ სხვა რამ არაა მითითებული.

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

უცხოურ ვალუტაში ასახული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება კომპანიის სამუშაო ვალუტაში, საქართველოს ეროვნული ზანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში. წლის ბოლოს კონვერტაცია არ ეხება არაფულად აქტივებს, მათ შორის კაპიტალის ინსტრუმენტებს.

შპს აი.ელ.ეფ ქონსალტინგ ენჯინიერს ჯორჯია

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

(ქართულ ლარში)

23. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია საქართველოს ეროვნული ბანკის გაცვლითი კურსები:

	USD	EUR	CHF
კურსი 2023 წლის 31 დეკემბრისთვის	2.6894	2.9753	3.2085
კურსი 2022 წლის 31 დეკემბრისთვის	2.7020	2.8844	2.9322

შემოსავალი გაწეული მომსახურებიდან

შემოსავალი მოიცავს კომპანიის ჩვეული საქმიანობისას მომსახურების გაწევის შედეგად მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალურ ღირებულებას. შემოსავალი გამოხატავს გაყიდვების ნეტ ღირებულებას - დღგ-ს, ფასდათმობისა და უკან დაბრუნების გარეშე.

კომპანია აღიარებს შემოსავალს, როდესაც შესაძლებელია შემოსავლის ოდენობის საიმედოდ შეფასება; და მოსალოდნელია მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა კომპანიაში.

თუ შესაძლებელია მომსახურების გაწევის შედეგების საიმედოდ განსაზღვრა, მასთან დაკავშირებული ამონაგების აღიარება ხდება საანგარიშო პერიოდის ბოლოს, მომსახურების ხელშეკრულების შესრულების სტადიის მიხედვით. მომსახურების მიწოდების შედეგების საიმედოდ შეფასება მაშინ არის შესაძლებელი, თუ დაკმაყოფილებულია შემდეგი პირობები:

ა) ამონაგების თანხის განსაზღვრა შესაძლებელია საიმედოდ;

ბ) მოცემული ოპერაციიდან მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა საწარმოში;

გ) შესაძლებელია მომსახურების მიწოდების ხელშეკრულების შესრულების სტადიის საიმედოდ შეფასება საანგარიშო პერიოდის ბოლოს; და

დ) შესაძლებელია მომსახურებაზე უკვე გაწეული და ხელშეკრულების მთლიანად შესრულებისათვის საჭირო დანახარჯების საიმედოდ შეფასება

კომპანია გარიგების ან ხელშეკრულების დასრულების ეტაპს განსაზღვრავს იმ მეთოდის გამოყენებით, რომელიც ყველაზე საიმედოდ განსაზღვრავს შესრულებულ სამუშაოს: საანგარიშგებო თარიღისათვის გაწეული ფაქტიური დანახარჯების დაბიუჯეტებულ დანახარჯებთან შეფარდების პროპორციით. გაწეული ხარჯები არ მოიცავს სამომავლო საქმიანობასთან დაკავშირებულ ხარჯებს, როგორცაა მასალები ან წინასწარი გადახდები.

როდესაც გაწეული მომსახურებიდან მიღებული შემოსავლის საიმედოდ შეფასება ვერ ხერხდება, შემოსავლები აღიარდება იმ მოცულობით, რა მოცულობის ანაზღაურებადი ხარჯებიცაა გაწეული საანგარიშგებო თარიღისათვის.

კომპანია წარმოადგენს მარწმუნებელს მომხმარებლებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებში და ამონაგებს აღიარებს მთლიანი ანაზღაურებით, გარდა რწმუნებულის ოპერაციებისა, როდესაც იგი უზრუნველყოფს სერვისების მიწოდებას მესამე მხარის საშუალებით. ამ ხელშეკრულებებთან დაკავშირებული რეალიზაციები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ნეტო საფუძველზეა წარდგენილი.

ხარჯების აღიარება

ხარჯების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებას ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს.

გაწეულ მომსახურებასთან დაკავშირებული ხარჯები აღიარებულია პროპორციულად შემოსავალთან ერთად.

ხარჯები გაწევისთანავე აღიარდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, თუ ხარჯებისგან ეკონომიკური სარგებლის მოტანა მომავალში აღარაა მოსალოდნელი ან თუ მომავალი ეკონომიკური სარგებელი აღარ აკმაყოფილებს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აქტივად აღიარების კრიტერიუმებს.

თანამშრომელთა სარგებელი

ხელფასები, ბონუსები და არაფულადი სარგებელი აღიარდება დარიცხვის მეთოდით იმ პერიოდში, როდესაც შესაბამისი სერვისი მიიღო კომპანიამ დასაქმებულისა და დაქირავებით მომუშავეთაგან.

23. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

საოპერაციო იჯარა

როდესაც კომპანია წარმოადგენს მოიჯარეს ისეთ საიჯარო ხელშეკრულებებში, რომლის დროსაც კომპანიას არ გადაეცემა აქტივის ფლობასთან დაკავშირებული ყველანაირი რისკი და სარგებელი, იჯარის გადასახადების აღიარება ხდება ხარჯის სახით მოგების ან ზარალის ანგარიშგებაში იჯარის მთლიან ვადაზე, დარიცხვის წრფივი მეთოდით. საიჯარო ვადა წარმოადგენს იმ არაგაუქმებად პერიოდს, რომლისთვისაც გაფორმებულია ხელშეკრულება იმ პერიოდთან ერთად რომლისთვისაც მოიჯარეს აქვს უფლება გააგრძელოს აქტივის იჯარა დამატებითი გადასახდელებით ან მათ გარეშე იმ შემთხვევაში, რომ ხელშეკრულების დადებისას მოსალოდნელია, რომ მოიჯარე გამოიყენებს აღნიშნულ უფლებას. კომპანიას არ აქვს შეუქცევადი იჯარები.

დაბეგვრა

მოგების გადასახადის ხარჯი წარმოადგენს პერიოდის მოგების მიმდინარე საგადასახადო ვალდებულებების ჯამს. მიმდინარე გადასახადელი გადასახადი დაფუძნებულია დასაბეგრ მოგებაზე. დასაბეგრი მოგება განსხვავდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში წარმოდგენილი მოგებისგან, რადგან არ მოიცავს იმ შემოსავლებს და ხარჯებს რომლებიც არ იბეგრება, ან არ გამოიქვითება მიმდინარე პერიოდში. კომპანიის მიმდინარე საგადასახადო ვალდებულება გამოითვლება გადასახადის იმ განაკვეთის გამოყენებით, რომელიც მოქმედებდა ან ამოქმედდა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს.

გადასახადები, გარდა მოგების გადასახადისა, აღიარდება როდესაც მოხდება ვალდებულებასთან დაკავშირებული მოვლენები. ვალდებულებებთან დაკავშირებული მოვლენები წარმოადგენენ მოვლენებს, რომლებიც წარმოშობენ გადასახადის გადახდის ვალდებულებას. გადასახადები გაანგარიშებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. წინასწარ გადახდილი გადასახადები აღიარებულია როგორც აქტივები.

ძირითადი საშუალებები

ყველა ძირითადი საშუალება აღიარებულია ისტორიული ღირებულებას გამოკლებული დაგროვილი ცვეთისა და გაუფასურებით გამოწვეული ზარალის საფუძველზე. ისტორიული ღირებულება მოიცავს ხარჯებს, რაც პირდაპირ დაკავშირებულია აქტივების შეძენასთან.

ძირითადი საშუალებების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულების კომპონენტები მოიცავს შეძენის ფასს და უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად, ასევე დემონტაჟისა და მოხსნის ხარჯების მიმდინარე ღირებულებას, რომლებიც მომავალში გაიწევა. შესაბამისი ვალდებულება აღიარებულია ანარიცხებში.

შემდგომი დანახარჯები ჩაითვლება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება, როგორც დამოუკიდებელი აქტივი, მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია აღნიშნული ტიპის დანახარჯისაგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება და შესაძლებელია ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა. შეცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ყველა სახის სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე რემონტთან, აღიარდება როგორც ხარჯი სრული შემოსავლის ანგარიშგებაში იმ პერიოდში, რომელშიც მოხდა აღნიშნული ხარჯის გაწევა.

აქტივის ცვეთა იწყება მაშინ, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ მაშინ, როდესაც ის იმყოფება იმ ადგილას და ისეთ პირობებში, რომელიც აუცილებელია მისი გამოყენებისთვის იმ სახით, როგორც ხელმძღვანელობას ჰქონდა განზრახული. ცვეთა არ წყდება აქტივის მწყობრიდან გამოსვლის ან არ გამოყენების შემთხვევაში, მანამ, სანამ იგი სრულად არ იქნება ამორტიზებული. ცვეთა ერიცხება აქტივითა ჯგუფს, მთლიანად მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში.

კომპანია იყენებს ცვეთის წრფივი დარიცხვის მეთოდს ძირითადი საშუალებების ყველა ჯგუფისათვის:

	სასარგებლო მომსახურების ვადა (წლები)
კომპიუტერები და ოფისის აღჭურვილობა	5
მანქანა-დანადგარები	5
ავტომობილები	5-8
იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	5

სასარგებლო მომსახურების ვადა და სალიკვიდაციო ღირებულება მიმოხილვა და საჭიროების შემთხვევაში კორექტირდება ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს.

ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულება გადაიხდება ყოველ საანგარიშო პერიოდში, რათა შეფასდეს საბალანსო ღირებულება აღემატება თუ არა შესაბამისი აქტივის აღდგენით ღირებულებას. აღდგენითი ღირებულება არის აქტივის გაყიდვის დანახარჯებით შემცირებულ რეალურ ღირებულებასა და აქტივის

23. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

გამოყენების ღირებულებას შორის უდიდესი. თუ აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია მის საბალანსო ღირებულებაზე, მაშინ აქტივის საბალანსო ღირებულება მცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე. გაუფასურების ზარალის აღიარება ხდება შესაბამის პერიოდში და ჩაირთვება საოპერაციო ხარჯებში.

სავაჭრო მოთხოვნები

სავაჭრო მოთხოვნები თავდაპირველად აღიარდება გარიგების ფასის მიხედვით. სავაჭრო მოთხოვნები შემდგომ აღიარდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით, გამოკლებული გაუფასურების რეზერვი. გაუფასურების რეზერვის შექმნის საჭიროება წარმოიშობა მაშინ როდესაც ობიექტური მტკიცებულება, რომ კომპანია ვერ შეძლებს ამ თანხების სრულად მიღებას თავდაპირველი გადახდის პიოზების მიხედვით.

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები თავდაპირველად აღიარდება გარიგების ფასით. სავაჭრო ვალდებულებები შემდგომ აღიარდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით.

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ფინანსური ანგარიშგების შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

ანარიცხები

ანარიცხის აღიარება ხდება, როდესაც საწარმოს საანგარიშგებო თარიღისთვის აქვს ვალდებულება, რომელიც წარმოიქმნა წარსული მოვლენის შედეგად; მოსალოდნელია, რომ ვალდებულების დასაფარად საჭირო იქნება ეკონომიკური სარგებლის გასვლა საწარმოდან; და შესაძლებელია ვალდებულების სიდიდის საიმედოდ შეფასება.

ანარიცხის ოდენობას წარმოადგენს იმ თანხის დღევანდელი ღირებულება, რომელიც მოსალოდნელია, რომ საჭირო იქნება ვალდებულების დასაფარად, რომელიც განისაზღვრება დაბეგვრამდე განაკვეთით და ასახავს ფულის დროითი ღირებულების მიმდინარე საბაზრო შეფასებებსა და ვალდებულებასთან დაკავშირებულ სპეციფიკურ რისკებს. ანარიცხის ზრდა დროის პერიოდის გასვლის გამო აღიარდება როგორც საპროცენტო ხარჯი სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

ანარიცხის აღიარება არ ხდება სამომავლო საოპერაციო ზარალებისთვის.

ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებული მხარე არის პირი ან საწარმო, რომელიც დაკავშირებულია იმ საწარმოსთან, რომელიც ამზადებს ფინანსურ ანგარიშგებას.

(ა) პირი ან მისი ახლო ნათესავი მიიჩნევა ანგარიშვალდებული საწარმოსთვის დაკავშირებულ მხარედ, თუ ეს პირი:

- არის ანგარიშვალდებული საწარმოს, ან მისი მშობელი საწარმოს უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის წევრი;
- აკონტროლებს ანგარიშვალდებულ საწარმოს; ან
- მას აქვს მნიშვნელოვანი გავლენა ანგარიშვალდებულ საწარმოზე;

(ბ) საწარმო მიიჩნევა ანგარიშვალდებული საწარმოსთვის დაკავშირებულად მხარედ, თუ შემდეგი პირობებიდან რომელიმე არსებობს:

- ეს საწარმო და ანგარიშვალდებული საწარმო არიან ერთი და იმავე ჯგუფის წევრები;
- ერთი საწარმო არის მეორის მეკავშირე საწარმო ან ერთობლივი საქმიანობა.
- ორივე საწარმო წარმოადგენს ერთი და იმავე მესამე საწარმოს ერთობლივ საქმიანობას;
- ერთი საწარმო არის რომელიმე მესამე საწარმოს ერთობლივი საქმიანობა, ხოლო მეორე საწარმო არის იმავე მესამე საწარმოსთვის მეკავშირე საწარმო;

შპს აი.ელ.ეფ კონსალტინგ ენჯინიერს ჯორჯია

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

(ქართულ ლარში)

23. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

- ეს საწარმო არის ანგარიშვალდებული საწარმოს, ან ანგარიშვალდებულ საწარმოსთან დაკავშირებული რომელიმე საწარმოს დაქირავებულ პირთა შრომითი საქმიანობის შემდგომი გასამრჯელოების პროგრამის განმახორციელებელი.
- ამ საწარმოს აკონტროლებს, ან ერთობლივად აკონტროლებს (ა) ქვეპუნქტში მითითებული რომელიმე პირი;
- პირი, ნახსენები (ა) (i) პუნქტში, ფლობს მნიშვნელოვან ხმის მიცემის უფლებას
- პირს, ნახსენები (ა) (ii) პუნქტში, აქვს მნიშვნელოვანი ზეგავლენა
- პირი, რომელსაც გააჩნია ორივე, როგორც მნიშვნელოვანი ხმის მიცემის უფლება, ასევე კონტროლის.
- უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის წევრს აქვს კონტროლი ამ საწარმოზე.